დამტკიცებულია : შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი
კოლეჯი იმედის დირექტორის 2020 წლის 09 მარტის № 10 ბრძანებით.

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი
კოლეჯი იმედის დირექტორის # 48 ბრძნებით შესულია ცვლილება 2020 წლის 17 სექტემბერს

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი
კოლეჯი იმედის დირექტორის # 54 ბრძნებით შესულია ცვლილება 2022 წლის 23 სექტემბერს

მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 -2027[1] წ.წ.

[1] გეგმის ვადა განისაზღვრება 2020 წლის სექტემბრიდან 2027 წლის 17 სექტემბრამდე

კოლეჯის შესახებ: *შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი 2004 წელს დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კოლეჯი დაამთავრა ათასზე მეტმა სტუდენტმა, რომლებიც დღეს წარმატებული ადამიანები არიან.*

კოლეჯი თავდაპირველად ფუნქციონირებდა როგორც ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება. 2013 წელს საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მიენიჭა. დღეს კოლეჯი წარმოადგენს ავტორიზებულ სასწავლებელს, რომელიც გასცემს სახელმწიფო დიპლომს. გამოცდილების ზრდასთან ერთად კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი ხდება.

მისია:

თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია.

ხედვა:

კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით 2027 წლისთვის იყოს ერთ-ერთი წარმატებული მრავალპროფილიანი კოლეჯი, რომელიც რეალურ ხარისხსზეა ორიენტირებული. უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

ღირებულებები:

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.

კოლეჯის მიზნებია:

- *განახორციელოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;*
- *მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტები;*

ამ მიზნების შესრულებისათვის კოლეჯი:

- *ზრუნავს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;*
- *უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადამიანური რესურსით;*
- *ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს;*
- *ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებას;*
- *ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.*

არსებული სიტუაცია და გამოწვევების ანალიზი (SWOT ანალიზი)

ყველა მოქმედი პროგრამის განხორციელება ხდება მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის პროფესიული განათლების მასწავლებლების/ პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ.

სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებული პროცესის უზრუნველსაყოფად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და დამსაქმებლების ჩათვლით ყველა ჩართულია მუდმივი განვითარების პროცესში.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა მისიისა და ხედვის განაცხადის განახლება-მოდერნიზება. ამასთან, ყოველწლიურად ხდება მიღწევების შეჯამება და გამოწვევების იდენტიფიცირება. დირექტორის ინიციატივით კოლეჯის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი.

ბოლო პერიოდის მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევაფასოთ კოლეჯი როგორც დინამიურად განვითარებადი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებას გეგმავს თანამედროვე მოთხოვნებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, რისთვისაც ისწრაფვის დანერგოს მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენების მდგრადი და განვითარებადი პრაქტიკა.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაეფუძნა SWOT ანალიზს, რომელიც შესრულდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე. ჩატარებულმა SWOT ანალიზმა კოლეჯს საკუთარი შესაძლებლობების და რესურსების შეფასებისა და მათი ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრის საშუალება მისცა, რომლის საფუძველზე 2020-2026 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია კოლეჯისის პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა შედგენილია კოლეჯის საქმიანობის სუსტი მხარეების გაუმჯობესების დროში გაწერილი მიზანმიმართული ქმედებებით, ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strengths)	*სუსტი მხარეები (Weaknesses)*
✓ *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრიორიტეტულობა და უწყვეტი მონიტორინგის სისტემა;* ✓ *დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროგრამების შინაარსობრივ განვითარებაში, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით;* ✓ *სტაბილური და მრავალწლიანი პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკული სწავლების ხარისხს;* ✓ *კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და დამსაქმებლებისგან მიღებული დადებითი გამოხმაურებები;* ✓ *სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროებში კოლეჯის დადებითი იმიჯი, რაც ამ სექტორებში სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობებს ზრდის;* ✓ *თანამედროვე და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აღჭურვილი სასწავლო სივრცეები;* ✓ *კვალიფიციური, პროფესიული განვითარების მექანიზმებით მხარდაჭერილი აკადემიური პერსონალი;* ✓ *ხელსაყრელი მდებარეობა, რაც ზრდის კოლეჯის ხელმისაწვდომობას ფართო მასშტაბზე;* ✓ *17 წლიანი გამოცდილება და პროფესიული განათლების სისტემაში სტაბილური პოზიციონირება;* ✓ *პოზიტიური და კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემო, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციას და პერსონალის ერთგულებას.*	✓ *საკუთარი შენობის არქონა, რაც გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და თვითმყოფადობაზე;* ✓ *საერთაშორისო პარტნიორული ქსელის და გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა, რაც ზღუდავს ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივას;* ✓ *სასწავლო რესურსების განახლების საჭიროება ინდივიდუალური პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.*
შესაძლებლობები (Opportunities)	*საფრთხეები (Threats)*
✓ *ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების*	✓ *არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური*

განვითარება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (მაგალითად: EQAVET-ის ჩარჩოზე დაყრდნობით); ✓ *სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების განვითარება (LMS პლატფორმების ინტეგრაცია, სტუდენტური პროცესების ავტომატიზაცია);* ✓ *ადამიანური რესურსების გაძლიერება რეგულარული პროფესიული განვითარების პროგრამებით;* ✓ *ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება გაცვლითი პროგრამებით, ერთობლივი პროექტებით და უცხოელი სტუდენტების მოზიდვით;* ✓ *ექსტრაკულიკულური აქტივობების (სპორტი, კულტურა, პროფესიული კლუბები) გაფართოება სტუდენტური ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად;* ✓ *უცხოურ გამოცდილებაზე დაფუძნებული თანამშრომლობის გაღრმავება (სტაჟირება, ერთობლივი კვლევითი პროექტები);* ✓ *კოლეჯის ცნობადობის ზრდა მიზნობრივი სარეკლამო კამპანიებით და სოციალური მედიის გამოყენებით;* ✓ *პროფესიული განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტურად გამოყენება განვითარების პროცესში.*	*გარემო, რაც გავლენას ახდენს დაფინანსებაზე და სტუდენტების შრომით ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობებზე;* ✓ *მზარდი კონკურენცია პროფესიულ განათლებაში, რაც მოითხოვს ხარისხისა და სიახლეების მუდმივ განვითარებას;* ✓ *პროფესიულ სტუდენტთა სწავლაზე მოტივაციის დაბალი დონე, რაც გავლენას ახდენს სწავლის პროცესის ეფექტიანობაზე და შედეგებზე;* ✓ *რეალურ სამუშაო გარემოში სტანდარტებისგან გადახრის შემთხვევები, რაც აფერხებს სტუდენტთა რეალური უნარების განვითარებას;* ✓ *ონლაინ სწავლებისადმი მზარდი პრიორიტეტი სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრიდან, რაც პრაქტიკული უნარების ათვისებას ართულებს.*

PEST ანალიზი

პოლიტიკური ფაქტორები: ✓ *პროფესიული განათლების კანონმდებლობის ცვლილებები გავლენას ახდენს პროგრამების შინაარსსა და შეფასების სტანდარტებზე.* ✓ *განათლების დაფინანსების პოლიტიკა განსაზღვრავს კოლეჯის რესურსების განვითარების შესაძლებლობებს.* ✓ *საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა ზრდის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივას.*	***ეკონომიკური ფაქტორები:*** ✓ *ადგილობრივი და გლობალური ეკონომიკური გარემოს ცვლილებები მოქმედებს სტუდენტების ინტერესებზე და კოლეჯის ფინანსურ მდგრადობაზე.* ✓ *შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული პროგრამების განახლება აუცილებელია დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად.*
სოციალური ფაქტორები: 1. *სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოება აყალიბებს ახალ მოთხოვნებს ინკლუზიურობის მიმართულებით.* 2. *სტუდენტთა მრავალფეროვნება და კულტურული მგრძნობელობა გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე და კომუნიკაციის სტილზე.* 3. *ტექნოლოგიური სფეროების პოპულარობა აჩენს მოთხოვნას ახალ პროგრამებზე IT და ინჟინერიის მიმართულებით.*	***ტექნოლოგიური ფაქტორები:*** 1. *ელექტრონული სწავლების პლატფორმების განვითარება აძლიერებს კოლეჯის მოქნილობას და კონკურენტუნარიანობას.* 2. *IT ინფრასტრუქტურის განვითარება აუმჯობესებს მართვის პროცესებს და მონაცემთა უსაფრთხოებას.* 3. *ინოვაციური სასწავლო მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ, ხარისხიან საგანმანათლებლო გამოცდილებას.*

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027 წლებისთვის ასახავს კოლეჯის განვითარებისა და ზრდის ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტი ეფუძნება შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციების, სახელმწიფოს პრიორიტეტების და განათლების სისტემის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ჩვენი მიზანია, რომ პროფესიული განათლება გახდეს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და თანადროული გამოწვევებზე პასუხის გამცემი. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 1.- ორგანიზაციული განვითარება***
- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა განვითარება***
- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება;***
- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 4: პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები***
- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა***
- ✓ ***სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები***

ეს დოკუმენტი წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების გზამკვლევს, არამედ კოლეჯის ღირებულებების, მიზნებისა და ხედვის განხორციელების აუცილებელ ინსტრუმენტს. კოლეჯი მზად არის ეფექტურად უპასუხოს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევებს და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის სრულფასოვანი, წარმატებაზე ორიენტირებული განათლება.

ამოცანა შენიშვნა: "ს" ნიშნით აღნიშნულია აქტივობები, რომლებიც განხორციელდება საჭიროებისამებრ.		**2020-2021**	**2021-2022**	**2022-2023**	**2023-2024**	**2024-2025**	**2025-2026**	**2026-2027**	**ძირითადი ინდიკატორები/ სამიზნე ნიშნული**	**პასუხისმგებელი პირ(ებ)ი**
		1. სტრატეგიული მიზანი - ორგანიზაციული განვითარება								
1.1.	**სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *მომზადებულია და დამტკიცებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.* ✓ *მომზადებულია სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) ანგარიში.* ✓ *გამოქვეყნებულია სამოქმედო გეგმის ანგარიში კოლეჯის ვებ-გვერდზე.* ✓ *დამტკიცებულია დირექტორის მიერ სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი).* ✓ *მომზადებულია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები და*	• დირექტორი; • დირექტორის მოადგილე; • ხარისხის მართვის მენეჯერი; • კოლეჯის თანასაზოგადოება

									აქტივობები. ✓ *მომზადებულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები და აქტივობები.* ✓ *მომზადებულია და წარმოდგენილია შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები.* ✓ *მარეგულირებელი დოკუმენტები სრულად შეესაბამება არსებულ რეგულაციებს.*	
1.2.	**ხარისხის უზრუნველყოფა(დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)**	*	*	*	*	*	*	*	✓ *ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგად მომზადებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.* ✓ *განხორციელებულია აქტივობები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.* ✓ *ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და კითხვარები.*	• დირექტორი; • ხარისხის მართვის მენეჯერი

										✓ *კვლევის შედეგები და ანალიზი.* ✓ *საჭიროების შემთხვევაში მომზადებულია განვითარების გეგმა და განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები, რაც დამტკიცებულია დოკუმენტაციით.* ✓ *ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.* ✓ *შენარჩუნებულია ავტორიზაცია.*	
1.3.	**ადამიანური რესურსების განვითარება**	*	*	*	*	*	*	*		✓ *მომზადებულია ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა.* ✓ *განხორციელებულია გეგმის შესაბამისი განმავითრებელი ღონისძიებები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.* ✓ *ჩატარებულია ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა, რაც*	• დირექტორი; • საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი

									დამტკიცებულია დოკუმენტაციით. ✓ *პროფესიულ განათლებაში მასწავლებელს გააჩნია კომპეტენცია პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებასა და შეფასებაში.* ✓ *შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 90%.*	
1.4.	**კოლეჯის ინტერნაციონალიზაცია**						*	*	✓ *შემუშავებულია და დადასტურებულია ინტერნაციონალიზაციის გეგმა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას.* ✓ *შემუშავებულია ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია* ✓ *ყოველწლიურად მინიმუმ ერთი საერთაშორისო კონფერენცია/სემინარი/ტრენინგი ჩატარდება, რაც*	• დირექტორი; • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი

									დადასტურებულია ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ✓ *საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით უცხოელი მასწავლებლების/ექსპერტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში.*	
სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა განვითარება										
2.1.	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება,განახლება, განხორციელება**	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	✓ *მომზადებულია და განხორციელებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დარგის სიახლეების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.* ✓ *დამტკიცებულია გამართული და მოთხოვნების შესაბამისი რეგულაციები.* ✓ *განხორციელებულია პარტნიორ ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეხვედრები, რაც დასტურდება შესაბამისი*	• დირექტორი; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მენეჯერი • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • პროგრამის ხელმძღვანელები • ფინანსური მენეჯერი

									დოკუმენტაციით. ✓ *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსებით, ასევე პრაქტიკის ობიექტებით.* ✓ *მომზადებულია საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.*	
2.2.	**მოკლევადიანი მომზადება გადამზადების პროგრამების შემუშავება,განახლება, განხორციელება**	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	✓ *ჩატარებულია შრომის ბაზრის ანალიზი, რაც დამტკიცებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.* ✓ *მომზადებულია და განახლებულია მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები.* ✓ *დამტკიცებულია მოთხოვნების შესაბამისი რეგულაციები.* ✓ *განხორციელებულია გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა.*	• დირექტორი; • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

									✓ *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსებით, ასევე პრაქტიკის ობიექტებით.* ✓ *მომზადებულია პროგრამის ბიუჯეტი.*	
სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება										
3.1.	**ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; ინფორმაცია განახლებულია რეგულარულად; ატვირთულია ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია.* ✓ *ყოველწლიურად განახლდება სასწავლო პროგრამების კატალოგი და ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.*	• დირექტორი; • IT სპეციალისტი; • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

										✓ *დანერგილია თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული, მოქნილი და გამჭვირვალე ელექტრონული სწავლების და შეფასების მექანიზმები.* ✓ *უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცულობა; შექმნილია სარეზერვო ასლები.* ✓ *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით.*	
3.2.	**მატერიალური რესურსების განვითარება**	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	✓ *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შემოწმებულია და მწყობრშია.* ✓ *ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და*	• დირექტორი; • მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი • ფინანსური მენეჯერი	

									მუდმივად განახლდება. ✓ *მომზადებულია შესაბამისობის დასკვნები, ინვენტარიზაციის აქტი და შემოწმების შესაბამისი ანგარიშები.* ✓ *განხორციელებულია შენობის მდგრადობის შეფასება.* ✓ *ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება მიმდინარეობს მიმდინარე მოთხოვნებზე დაყრდნობით.*	
3.3.	**საბიბლიოთეკო/საგანმანათლებლო რესურსების განვითარება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.* ✓ *შექმნილია გეგმის მიხედვით მინიმუმ ორ წელიწადში ერთი საგანმანათლებლო*	• დირექტორი; • ბიბლიოთეკარი; • პროგრამის ხელმძღვანელები; • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

									რესურსი. ✓ *განხორციელებულია საგანმანათლებლო რესურსების რეგულარული განახლება და დამატება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.* ✓ *შენახულია მაღალ ხარისხში და აქტუალიზებულია რესურსების ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზა.*	
სტრატეგიული მიზანი 4: პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები										
. 4.1.	**პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა**	*	*	*	*	*	*	*	✓ *პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.* ✓ *პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.* ✓ *ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს გააცნეს მათი უფლებები და*	• დირექტორი; • სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი

									კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ✓ *მიღებულია და დამტკიცებულია მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების უფლებების დაცვას.* ✓	
4.2.	**პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა**	*	*	*	*	*	*	*	✓ *წელიწადში მინიმუმ 2 აქტივობა, რაც დასტურდება ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.* ✓ *შექმნილია სოციალური ქსელის სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად განახლდება ინფორმაცია კარიერული განვითარებისა და დასაქმების შესახებ.* ✓ *წელიწადში მინიმუმ 1 ტრენინგ-კურსი, ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.*	• დირექტორი; • სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; • საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი

									✓ *წელიწადში მინიმუმ 2 შეხვედრა, შეხვედრების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.*	
სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა										
5.1.	**შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა**	*	*	*	*	*	*	*	✓ *შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.* ✓ *შეფასებულია შრომის უსაფრთხოების რისკები.* ✓ *დასახულია გეგმა, თუ საჭიროა, ასევე შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან.* ✓ *დაცულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების ნორმები, რაც დასტურდება შესაბამისობის დასკვნით.*	• დირექტორი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; • მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი; • კოლეჯის თანასაზოგადოება
5.2.	**ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელ ების ინფორმირება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *ჩატარებულია ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების შესახებ, რაც დასტურდება ინსტრუქტაჟის ჩატარების*	• შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; • მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი; • კოლეჯის

	უსაფრთხოების წესების შესახებ								*დამადასტურებელი დოკუმენტაციით.* ✓ *ჩატარდა ჰიგიენური ნორმების დაცვითი ინსტრუქტაჟი, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.*	თანასაზოგადოება
სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები										
6.1.	**საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთსასარგებლო კავშირების განვითარება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *ჩატარდა შეხვედრები, რაც დასტურდება შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.* ✓ *განხორციელდა კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებები, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.* ✓ *კოლეჯი მონაწილეობდა ერთობლივ ღონისძიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში.* ✓ *წელიწადში მინიმუმ ერთი ახალი პარტნიორი შეუერთდა, რაც*	• დირექტორი; • საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი; • კოლეჯის თანასაზოგადოება

									დასტურდება შესაბამისი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.	
6.2.	**კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება**	*	*	*	*	*	*	*	✓ *წელიწადში მინიმუმ 1 საქველმოქმედო/კორპორატიული ღონისძიება ჩატარდება, რაც დადასტურებულია ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.* ✓ *წელიწადში მინიმუმ 1 ტრენინგი ან ღონისძიება განხორციელდება, რაც დადასტურებულია ტრენინგის/ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.* ✓ *პროფესიულ სტუდენტთა დახმარება (სოციალურად დაუცველებისა და მშობელთა მზრუნველობისგან მოკლებული სტუდენტებისთვის) განხორციელდება, თუ ასეთი სტუდენტები არსებობენ.*	• დირექტორი; • საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი; • კოლეჯის თანასაზოგადოება